უბედური შემთხვევის დაზღვევის პირობები CPA-001

წინამდებარე პირობები ძალაშია ჩვენ მიერ გაცემულ სადაზღვევო პოლისთან ერთად. სადაზღვევო პოლისის გარეშე წინამდებარე პირობებს იურიდიული ძალა არ გააჩნია. პოლისზე ხელმოწერით თქვენ ადასტურებთ, რომ გაეცანით წინამდებარე პირობებს და ეთანხმებით მათ.

მუხლი 1. ტერმინთა განმარტება

1.1.1. წინამდებარე პირობებში გამოყენებულ ზოგიერთ ტერმინს გააჩნია ამ მუხლში ასახული მნიშვნელობა:

1.1.2. **დამზღვევი** – პირი, რომელიც აფორმებს დაზღვევის ხელშეკრულებას მზღვეველთან;

1.1.3. **დაზღვეული** – სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული, დამზღვევთან შრომით ურთიერთობაში მყოფი პირი, რომლის მიმართაც და რომლის სასარგებლოდაც ხორციელდება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაზღვევა;

1.1.4. **მოსარგებლე** – პირი, რომელიც იღებს სადაზღვევო ანაზღაურებას წინამდებარე პირობებით გათვალისწინებულ შემთხვევებში. უბედური შემთხვევით გამოწვეული გარდაცვალებისას ასეთად ჩაითვლება დაზღვეულის მიერ წინასწარ წერილობით განსაზღვრული/დასახელებული პირი, ხოლო თუ _ ასეთი პირი არ არის განსაზღვრული, პირი _ რომელიც უფლებამოსილია, მიიღოს ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად; უბედური შემთხვევით გამოწვეული შრომისუნარიანობის დაკარგვის შემთხვევაში _ დაზღვეული;

1.1.5. **უბედური შემთხვევა -** გაუთვალისწინებელი, მოულოდნელი შემთხვევა, გამოწვეული თვალსაჩინო გარეგანი ძალების ზემოქმედებით, რომელმაც განაპირობა დაზღვეულის გარდაცვალება, მისი სხეულის დაზიანება ან შრომისუუნარობა;

1.1.6. **უბედური შემთხვევით გამოწვეული მკვეთრად გამოხატული შრომისუუნარობა -** უშუალოდ უბედური შემთხვევით გამოწვეული შრომისუნარიანობის დაკარგვის ისეთი ხარისხი, რომელიც კვალიფიცირებულია, როგორც მკვეთრად გამოხატული შესაძლებლობების შეზღუდვა იმ სამედიცინო დაწესებულების მიერ, რომელიც შერჩეულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ და რომელსაც მინიჭებული აქვს მოქალაქეთა შესაძლებლობის სტატუსის დადგენის უფლებამოსილება.

1.1.7. **უბედური შემთხვევით გამოწვეული მნიშვნელოვნად გამოხატული შრომისუუნარობა–** უშუალოდ უბედური შემთხვევით გამოწვეული შრომისუნარიანობის დაკარგვის ისეთი ხარისხი, რომელიც კვალიფიცირებულია, როგორც მნიშვნელოვნად გამოხატული შესაძლებლობების შეზღუდვა იმ სამედიცინო დაწესებულების მიერ, რომელიც შერჩეულია საქართველოს ოკუპირებული ტეროტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ და რომელსაც მინიჭებული აქვს მოქალაქეთა შესაძლებლობის სტატუსის დადგენის უფლებამოსილება.

1.1.8. **უბედური შემთხვევით გამოწვეული ზომიერად გამოხატული შრომისუუნარობა –** უშუალოდ უბედური შემთხვევით გამოწვეული შრომისუნარიანობის დაკარგვის ისეთი ხარისხი, რომელიც კვალიფიცირებულია როგორც ზომიერად გამოხატული შესაძლებლობების შეზღუდვა იმ სამედიცინო დაწესებულების მიერ, რომელიც შერჩეულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ და რომელსაც მინიჭებული აქვს მოქალაქეთა შესაძლებლობის სტატუსის დადგენის უფლებამოსილება.

1.1.9. **პასუხისმგებლობის ლიმიტი (სადაზღვევო თანხა)** – სადაზღვევო შემთხვევის შედეგად მზღვეველის მიერ დაზღვეულის ან მოსარგებლისათვის გადასახდელი სადაზღვევო ანაზღაურების მაქსიმალური ზღვრული ოდენობა;

1.1.10. **სადაზღვევო პოლისი** _ ეს არის მზღვეველის მიერ გაცემული წერილობითი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ამ პირობებით გათვალისწინებული დაზღვევის გაფორმებას და რომელიც გადაეცემა დამზღვევს. ამასთან, სადაზღვევო პოლისში დაფიქსირებულ მონაცემებსა და წინამდებარე პირობების დებულებებს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება პოლისს;

1.1.11. **სადაზღვევო პრემია** – გადასახადი/დაზღვევის საზღაური, რომელიც დამზღვევმა უნდა გადაუხადოს მზღვეველს დაზღვევის პოლისით გათვალისწინებული წესითა და ვადებში;

1.1.12. **სადაზღვევო პერიოდი** - დროის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოქმედებს წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული დაზღვევა; დაზღვევის კონკრეტული პერიოდი განისაზღვრება შესაბამისი სადაზღვევო პოლისით. ამასთან, დაზღვევა ძალაში შედის პოლისით განსაზღვრული პირველი დღის 24 საათიდან და ძალაშია პოლისით განსაზღვრული უკანასკნელი დღის 24 საათამდე;

1.1.13. **ინდივიდუალური გამომუშავებული პრემია** - საერთო სადაზღვევო პერიოდის შიგნით აღებული კონკრეტული თარიღისათვის კონკრეტული დაზღვეულის გამომუშავებული პრემია წარმოადგენს:
ა) იმ შემთხვევაში, თუ ინდივიდუალური სადაზღვევო პერიოდი დასრულებულია კონკრეტული თარიღისათვის - მისი მთლიანი ინდივიდუალური სადაზღვევო პერიოდის შესაბამის ჯამურ პრემიას,
ბ) იმ შემთხვევაში, თუ ინდივიდუალური სადაზღვევო პერიოდი არ არის დასრულებული კონკრეტული თარიღისათვის - მისი მთლიანი ინდივიდუალური სადაზღვევო პერიოდის შესაბამისი ჯამური პრემიის იმ ნაწილს, რა ნაწილსაც შეადგენს ინდივიდუალური სადაზღვევო პერიოდის დაწყებიდან ზემოთაღნიშნულ კონკრეტულ თარიღამდე გასული დღეების რაოდენობა მთლიანი ინდივიდუალური სადაზღვევო პერიოდის დღეებში გაზომილ ხანგრძლივობასთან მიმართებაში;

1.1.14. **ინდივიდუალური გამოუმუშავებელი პრემია** - საერთო სადაზღვევო პერიოდის შიგნით აღებული კონკრეტული თარიღისათვის კონკრეტული დაზღვეულის გამოუმუშავებელი პრემია წარმოადგენს

სხვაობას მისი მთლიანი ინდივიდუალური სადაზღვევო პერიოდის შესაბამის ჯამურ პრემიასა და ინდივიდუალურ გამომუშავებულ პრემიას შორის;

1.1.15. **საერთო გამომუშავებული პრემია** – საერთო სადაზღვევო პერიოდის შიგნით აღებული კონკრეტული თარიღისათვის სადაზღვევო ხელშეკრულების შესაბამის გამომუშავებულ პრემიას შეადგენს ინდივიდუალური გამომუშავებული პრემიების ჯამი;

1.1.16. **საერთო გამოუმუშავებელი პრემია** – საერთო სადაზღვევო პერიოდის შიგნით აღებული კონკრეტული თარიღისათვის სადაზღვევო ხელშეკრულების შესაბამის გამოუმუშავებელ პრემიას შეადგენს ინდივიდუალური გამოუმუშავებელი პრემიების ჯამი;

1.1.17. **წლიური აგრეგირებული ლიმიტი** – შესაბამისი სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული თანხა, რომელიც წარმოადგენს სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში თითოეული/ერთი დაზღვეულის სასარგებლოდ მზღვეველის მიერ გასაცემი სადაზღვევო ანაზღაურების მაქსიმუმს ყველა მოქმედი (ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული) სადაზღვევო დაფარვისთვის.

1.1.18. **თითოეული უბედური შემთხვევის ლიმიტი –** შესაბამისი სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული თანხა, რომელიც, მიუხედევად ასეთი შემთხვევის შედეგად დაზიანებული/ გარდაცვლილი დაზღვეული პირების რაოდენობისა, წარმოადგენს ერთი უბედური შემთხვევის შედეგად მზღვეველის მიერ გასაცემი სადაზღვევო ანაზღაურების მაქსიმუმს ყველა მოქმედი (ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული) სადაზღვევო დაფარვისთვის ჯამში.

1.1.19. **კონტრაქტის აგრეგირებული ლიმიტი** – შესაბამისი სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული თანხა, რომელიც წარმოადგენს სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში მზღვეველის მიერ გასაცემი სადაზღვევო ანაზღაურების მაქსიმუმს ყველა მოქმედი (შესაბამისი სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული) სადაზღვევო დაფარვისთვის ჯამში.

1.1.20. **სადაზღვევო ხელშეკრულება** – წინამდებარე სადაზღვევო პირობების, სადაზღვევო განაცხადისა და სადაზღვევო პოლისის ერთობლიობა.

მუხლი 2. სადაზღვევო შემთხვევები/სადაზღვევო დაფარვა

2.1. წინამდებარე პირობების მიზნებისათვის სადაზღვევო შემთხვევად/სადაზღვევო დაფარვად ჩაითვლება:

2.1.1. დაზღვეულის გარდაცვალება უბედური შემთხვევის შედეგად;

2.1.2. დაზღვეულის შრომისუუნარობა უბედური შემთხვევის შედეგად და განსაზღვრული ცხრილით (დანართი #2);

2.2. დაზღვევის მოქმედება, წინამდებარე პირობებით განსაზღვრული გამონაკლისების გათვალისწინებით, ვრცელდება მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში დამდგარ უბედურ შემთხვევაზე 24 საათის განმავლობაში.

2.3. წინამდებარე პირობების საფუძველზე გაიცემა უბედური შემთხვევის დაზღვევის პოლისი. აღნიშნულ პოლისზე მთლიანად ვრცელდება წინამდებარე პირობებით დადგენილი მოთხოვნები. ამასთან, სადაზღვევო პოლისის გაცემა ხორციელდება შესაბამისი განაცხადის დამზღვევის მიერ შევსებისა და მისთვის სასურველი დაფარვების აღნიშნულ განაცხადში მითითების საფუძველზე. ხსენებული პოლისი, შესაბამისი განაცხადი და წინამდებარე პირობები იქცევა დაზღვევის ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილებად.

მუხლი 3. სადაზღვევო ხელშეკრულების მოქმედების ვადები

3.1. დაზღვევა შედის ძალაში შესაბამის დაზღვევის პოლისში მითითებული თარიღიდან, თუმცა, მზღვეველი არ აგებს პასუხს და არ წარმოეშობა დაზღვევის ხელშეკრულებით განსაზღვრული არცერთი ვალდებულება ისეთ შემთხვევაზე, რომელიც დადგა დამზღვევის მიერ პრემიის ან პრემიის პირველი შესატანის (პერიოდულად გადახდის შემთხვევაში) სრულად გადახდამდე;

3.2. დაზღვევა ავტომატურად შეწყდება დაზღვეულის მიერ ომის ან მსგავსი საომარი მოქმედების პერიოდში სამხედრო ან სხვა მსგავს ფორმირებაში სამსახურის დაწყებისთანავე. დაზღვევა განახლდება დაზღვეულის მიერ აღნიშნული სამსახურის მიტოვების შესახებ მზღვეველისათვის შეტყობინების განხორციელებისთანავე.

მუხლი 4. გამონაკლისები

4.1. **პირობების თანახმად, არ იფარება/არ ანაზღაურდება უბედური შემთხვევით განპირობებული გარდაცვალების შემდეგი შემთხვევები:**

4.1.1 თუ გარდაცვალება პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოჰყვა ისეთ მოვლენებს, როგორიცაა: ომი, დაპყრობა, ნებისმიერი სახის საომარი/სამხედრო მოქმედებები, სამოქალაქო ომი, აჯანყება, რევოლუცია, გაფიცვა, ხელისუფლების ნებისმიერი ორგანოს მიერ განხორციელებული კონფისკაცია ან ნაციონალიზაცია, ნებისმიერი პირის ქმედებები, რომელიც მოქმედებს რაიმე ორგანიზაციის დავალებით ან დამოუკიდებლად და მიზნად ისახავს დე იურე ან დე ფაქტო ხელისუფლების დამხობას ან მასზე ზეგავლენას ტერორისტული ან ძალისმიერი მეთოდებით;

4.1.2 თუ გარდაცვალება პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოჰყვა მაიონიზირებელ გამოსხივებას, გარემოს რადიაქტიურ დაბინძურებას, ბირთვული საწვავის აალებას;

4.1.3 თუ გარდაცვალება პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოჰყვა დაზღვეულის ალკოჰოლური ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ ყოფნას; ან თუ დაზღვეული შემთხვევის დროს იმყოფებოდა ნარკოტიული, ფსიქოტროპული ან ტოქსიკური ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ;

4.1.4 თუ გარდაცვალება პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოჰყვა დაზღვეულის მიერ ჩადენილ თვითმკვლელობას ან თვითმკვლელობის მცდელობას, განზრახ თვითდაზიანებას;

4.1.5 თუ გარდაცვალება შედეგია დაზღვეულის მკვლელობისა, რომლის პირდაპირ ან არაპირდაპირ, უშუალო ან არაუშუალო მონაწილედ გვევლინება მოსარგებლე ან ნებისმიერი პირი, რომელიც დაინტერესებულია გარდაცვალების გამო ანაზღაურების მიღებით;

4.1.6 თუ გარდაცვალება შედეგია დაზღვეულის მიერ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის ან ამგვარის მცდელობისა;

4.1.7 თუ გარდაცვალება შედეგია დაზღვეულის ფსიქიკური ავადმყოფობის ან გონების დაბინდვის;

4.1.8 თუ გარდაცვალება პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოჰყვა დაზღვეულის ყოფნას ნებისმიერ საფრენ საშუალებაში/ხომალდში, მასში შესვლას ან მისგან გამოსვლას, გარდა ლიცენზირებული მრავალძრავიანი საჰაერო ტრანსპორტით მგზავრობისა, რომელსაც ექსპლოატაციას უწევს ლიცენზირებული საჰაერო გადამზიდავი;

4.1.9 თუ გარდაცვალება პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოჰყვა დაზღვეულის ყოფნას სამხედრო ძალების ან პოლიციის სამსახურში ან მონაწილეობას მათ მოქმედებებში;

4.1.10 თუ გარდაცვალება პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოჰყვა დაზღვეულის მონაწილეობას ნებისმიერი სახის სიჩქარეზე შეჯიბრში;

4.1.11 თუ გარდაცვალება შედეგია დაზღვეულის შიდსით დაავადების ან აივ-ით ინფიცირების;

4.1.12 თუ გარდაცვალება პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოჰყვა დაზღვეულის მიერ საკუთარი ნებით ხიფათში თავის ჩაგდებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი ასეთი ქმედება მიმართულია ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად.

4.1.13 თუ გარდაცვალება პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოჰყვა დაზღვეულის მიერ სანაძლეოს პირობების, აკრობატული ილეთების შესრულებას, რეკორდის დამყარებას ან ასეთის მცდელობა;

4.1.14 თუ გარდაცვალება შედეგია მშობიარობასთან ან ორსულობასთან მთლიანად ან ნაწილობრივ დაკავშირებული გართულებებისა;

4.1.15 თუ გარდაცვალება პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოჰყვა დაზღვეულის მონაწილეობას პროფესიული სპორტის სახეობებში (შეჯიბრი, წვრთნა, საჩვენებელი გამოსვლა);

4.1.16 თუ გარდაცვალება პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოჰყვა დაზღვეულის მონაწილეობას შემდეგი სამოყვარულო სპორტის სახეობებში: საბრძოლო სახეობები, აკვალანგით ყვინთვა, პარაშუტით ან დელტაპლანით ხტომა, კლდეზე ცოცვა, ალპინიზმი, სპელეოლოგია.

4.2 წინამდებარე პირობების თანახმად, არ იფარება/არ ანაზღაურდება უბედური შემთხვევით გამოწვეული შრომისუუნარობის შემდეგი შემთხვევები:

4.2.1 თუ შრომისუუნარობა პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოჰყვა ისეთ მოვლენებს, როგორიცაა ომი, დაპყრობა, ნებისმიერი სახის სამარი/სამხედრო მოქმედებები, სამოქალაქო ომი, აჯანყება, რევოლუცია, გაფიცვა, ხელისუფლების ნებისმიერი ორგანოს მიერ განხორციელებული კონფისკაცია ან ნაციონალიზაცია, ნებისმიერი პირის ქმედებები, რომელიც მოქმედებს რაიმე ორგანიზაციის დავალებით ან დამოუკიდებლად და მიზნად ისახავს დე იურე ან დე ფაქტო ხელისუფლების დამხობას ან მასზე ზეგავლენას ტერორისტული ან ძალისმიერი მეთოდებით;

4.2.2 თუ შრომისუუნარობა პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოჰყვა ბირთვული ენერგიას (ბირთვული რეაქციები, დასხივება, დაბინძურება);

4.2.3 თუ შრომისუუნარობა პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოჰყვა იონიზირებულ დასხივებას ან რადიოაქტივობით გამოწვეულ დაბინძურებას ნებისმიერი ბირთვული საწვავის ან მისი აალების შედეგად;

4.2.4 თუ შრომისუუნარობა პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოჰყვა დაზღვეულის მონაწილეობას საზღვაო, სამხედრო ან საჰაერო ძალების სამსახურში ან ასეთთა ნებისმიერ მოქმედებაში;

4.2.5 თუ შრომისუუნარობა პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოჰყვა დაზღვეულის მონაწილეობის ნებისმიერი სახის სიჩქარეზე შეჯიბრში;

4.2.6 თუ შრომისუუნარობა პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოჰყვა დაზღვეულის ყოფნას ნებისმიერ საფრენ საშუალებაში/ხომალდში, მასში შესვლას ან მისგან გამოსვლას, გარდა ლიცენზირებული მრავალძრავიანი საჰაერო ტრანსპორტით მგზავრობისა, რომელსაც ექსპლოატაციას უწევს ლიცენზირებული საჰაერო გადამზიდავი;

4.2.7 თუ შრომისუუნარობა პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოჰყვა დაზღვეულის ფსიქიკურ ავადმყოფობას ან გონების დაბინდვას;

4.2.8 თუ შრომისუუნარობა პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოჰყვა დაზღვეულის ალკოჰოლურ ან ნარკოტიკულ ინტოქსიკაციას, ან თუ შემთხვევა მოხდა დაზღვეულის ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ ყოფნის დროს;

4.2.9 თუ შრომისუუნარობა პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოჰყვა დაზღვეულის ინფექციურ დაავადებას;

4.2.10 თუ შრომისუუნარობა პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოჰყვა დაზღვეულის საკვებისმიერ ინტოქსიკაციას;

4.2.11 თუ შრომისუუნარობა პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოჰყვა დაზღვეულის მიერ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენას ან ამგვარის მცდელობას.

4.3. მზღვეველი აგრეთვე არ აანაზღაურებს ექიმის მომსახურების ხარჯებს, რომელიც გადაიხადა დაზღვეულმა მზღვეველისათვის ზარალზე პრეტენზიის წასაყენებლად და/ან შესაბამის მტკიცებულებათა მოსაპოვებლად.

მუხლი 5. პირები, რომლებიც არ ექვემდებარებიან დაზღვევას

5.1. დაზღვევა არ ვრცელდება ფსიქიურად დაავადებულ პირებზე და მათზე, ვისაც ესაჭიროებათ მუდმივი მოვლა და ზედამხედველობა (პირები, რომლებსაც ყოველდღიური აუცილებელი საქმიანობისათვის ესაჭიროებათ სხვათა დახმარება) ან რომელთაც დაზღვევის ძალაში შესვლის მომენტში უტარდებათ სტაციონარული მკურნალობა;

5.2. თუ წინამდებარე დაზღვევის ძალაში შესვლის შემდეგ დადგინდება, რომ სადაზღვევო პოლისში მითითებული დაზღვეული პირ/ენ/ი/ არიან/იყვნენ ფსიქიურად დაავადებულები დაზღვევის ძალაში შესვლამდე ან დაავადდნენ დაზღვევის ძალაში შესვლის შემდეგ, ან საჭიროებენ მუდმივ მოვლასა და ზედამხედველობას ან დაზღვევის ძალაში შესვლის მომენტისათვის უტარდებოდათ სტაციონარული მკურნალობა, დაზღვევა ჩაითვლება ავტომატურად გაუქმებულად და დაზღვეულს დაუბრუნდება პრემიის ნაწილი დაზღვევის მოქმედების პერიოდის დასრულებამდე დარჩენილი დროის პროპორციულად. ამასთან, ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, მზღვეველის მიერ ანაზღაურებას არ დაექვემდებარება არცერთი ამ მუხლში მითითებული ან ამ მუხლში მითითებულ პირებთან დაკავშირებული შემთხვევა.

მუხლი 6. პროფესიული საქმიანობის ან სამუშაო ადგილის შეცვლა

6.1. დამზღვევი/დაზღვეული ვალდებულია, დაუყოვნებლივ აცნობოს მზღვეველს დაზღვევის მოქმედების პერიოდში დაზღვეულის პროფესიული საქმიანობის ან სამუშაო ადგილის ცვლილების შესახებ; ამასთან, დამზღვევისათვის/დაზღვეულისათვის ცნობილია, რომ ამგვარმა ცვლილებამ, შესაძლოა, განაპირობოს მზღვეველის მიერ სადაზღვევო პრემიის ცვლილება/გადათვლა.

6.2. თუ დამზღვევმა/დაზღვეულმა არ შეატყობინა მზღვეველს დაზღვეულის პროფესიული საქმიანობის ან სამუშაო ადგილის შეცვლის შესახებ ორი კვირის განმავლობაში, სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მზღვეველის მიერ ასანაზღაურებელი თანხა შემცირდება იმ ოდენობით, რომლითაც გადათვლილი პრემია აღემატება საწყის (ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ) სადაზღვევო პრემიას.

მუხლი 7. სადაზღვევო პრემიის გადახდის წესი

7.1. სადაზღვევო პრემიის გადახდა ხორციელდება შესაბამის სადაზღვევო პოლისში მითითებული გრაფიკის შესაბამისად;

7.2. იმ შემთხვევაში, თუ სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისათვის დამზღვევს არ აქვს გადახდილი სადაზღვევო პრემია სრულად, მზღვეველი თავისუფლდება მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულებისგან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნათა დაცვით.

მუხლი 8. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

8.1. დამზღვევი ვალდებულია:

8.1.1. უზრუნველყოს სადაზღვევო შესატანის (პრემიის) გადახდა სადაზღვევო ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და ვადებში;

8.1.2. უზრუნველყოს მზღვეველისათვის სადაზღვევო ხელშეკრულების დადებისათვის აუცილებელი უტყუარი ინფორმაციის წარდგენა მზღვეველის მიერ დადგენილი ფორმით, შესაბამისი განაცხადის შევსების გზით.

8.1.3. გააცნოს წინამდებარე დაზღვევის პირობები და ის ვალდებულებები, რომელიც აკისრიათ დაზღვეულ პირებს წინამდებარე პირობების მოთხოვნებიდან გამომდინარე;

8.1.4. განუხრელად და ჯეროვნად შეასრულოს სადაზღვევო ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობები.

8.1.5. უბედური შემთხვევის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს 48 საათისა, აცნობოს აღნიშნულის თაობაზე მზღვეველს წერილობითი ფორმით.

8.2. დამზღვევი უფლებამოსილია:

8.2.1. მოთხოვოს მზღვეველს დაზღვევის განხორციელება სადაზღვევო ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად;
8.2.2. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მოითხოვოს მზღვეველისაგან სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა შესაბამისი სადაზღვევო ხელშეკრულებით/წინამდებარე პირობებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად;
8.2.3. მოსთხოვოს მზღვეველს ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება;
8.2.4. მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაასაჩივროს მზღვეველის გადაწყვეტილება, რომელიც მას მიაჩნია არასამართლიანად;
8.2.5. შეწყვიტოს სადაზღვევო ხელშეკრულება მხოლოდ ამავე პირობების მოთხოვნათა სრული დაცვით.

8.3. მზღვეველი უფლებამოსილია:

8.3.1. მოთხოვოს დამზღვევს (დაზღვეულს) სადაზღვევო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი და განუხრელი შესრულება;
8.3.2. მოთხოვოს დამზღვევს, გადაიხადოს სადაზღვევო შესატანი (პრემია) სადაზღვევო ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და ვადებში;
8.3.3. მოთხოვოს დამზღვევს დაზღვევის ხელშეკრულების დადებისათვის აუცილებელი ინფორმაციის წარდგენა მზღვეველის მიერ დადგენილი ფორმით, შესაბამისი განაცხადის შევსების გზით;
8.3.4. არ აანაზღაუროს ის შემთხვევები, რომელიც არ არის გათვალისწინებული ამ პირობებით და მისი დანართებით განსაზღვრული დაზღვევის პირობებით და/ან ხვდება გამონაკლისთა ნუსხაში;
8.3.5. უარი განაცხადოს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე დამზღვევის (დაზღვეულის) მიერ სადაზღვევო ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში;
8.3.6. იმ შემთხვევაში, თუ მზღვეველი ჩათვლის მიზანშეწონილად, მის მიერ უფლებამოსილი ექიმი-ექსპერტის მეშვეობით ჩაუტაროს გამოკვლევა დაზღვეულს და გაეცნოს მის ავადმყოფობის ისტორიას, ამასთან, მზღვეველის წარმომადგენელი უფლებამოსილია, შეამოწმოს სამედიცინო დაწესებულებაში დაზღვეულისთვის გაწეული სამედიცინო მომსახურება;
8.3.7. მოითხოვოს ნებისმიერი სამედიცინო ინფორმაცია ექიმებისგან, რომლებმაც ჩაუტარეს დაზღვეულს სამედიცინო გამოკვლევები ან მკურნალობა;
8.3.8. დაზღვეულის გარდაცვალებისას, მოითხოვოს გვამის სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება მზღვეველის მიერ დანიშნული ექიმი-ექსპერტის მიერ;
8.3.9. არ აანაზღაუროს სადაზღვევო შემთხვევა დაზღვეულის/მოსარგებლის მიერ (ან დაზღვეულის/მოსარგებლის მონაწილეობით) სადაზღვევო შემთხვევის ფაქტის, ანაზღაურების მიღებისათვის აუცილებელი დოკუმენტების გაყალბების ან ყალბი ინფორმაციის წარმოდგენის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში და ამავდროულად, ცალმხრივად გააუქმოს დაზღვევის მოქმედება ასეთ პირთან მიმართებაში;
8.3.10. დაზღვეულისთვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურების გაცემის შემდეგ, მოითხოვოს შესაბამისი ხარჯების კომპენსაცია იმ პირთაგან, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან დაზღვეულის ჯანმრთელობისთვის მიყენებულ ზიანზე.

შენიშვნა: *სადაზღვევო პირობების 8.3. პუნქტით გათვალისწინებული მზღვეველის უფლებამოსილების განხორციელების მიზნებისათვის, დაზღვეული ან მისი მემკვიდრე ვალდებულია, მზღვეველის მოთხოვნის შემთხვევაში, მიანიჭოს მზღვეველს უფლებამოსილება, მზღვეველის მიერ დადგენილი ფორმით, შესაბამისი დაწესებულებიდან დაზღვეულის პერსონალური, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების გამოთხოვის თაობაზე. დაზღვეულის ან მისი მემკვიდრის მიერ მითითებული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს მზღვეველის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე უარის თქმის საფუძველს.*

8.4. მზღვეველი ვალდებულია:

8.4.1. განახორციელოს დაზღვევა სადაზღვევო ხელშეკრულებით განსაზღვრული დაზღვევის პირობების შესაბამისად;
8.4.2. განხორციელებული დაზღვევის დასტურად გადასცეს დამზღვევს ყოველი სახელშეკრულებო წლისათვის, ერთწლიანი მოქმედების სადაზღვევო პოლისი;
8.4.4. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, დაზღვეულისაგან/მოსარგებლისაგან სადაზღვევო შემთხვევის გარემოებებისა და ზიანის ოდენობის დასადგენად აუცილებელ ყველა დოკუმენტსა და სხვა ინფორმაციას წინამდებარე ხელშეკრულებისა და მისი დანართების პირობების შესაბამისად მიღების საფუძველზე შეადგინოს სადაზღვევო აქტი და გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება სადაზღვევო აქტის მხარეთა მიერ ხელმოწერიდან 30 დღის ვადაში.

8.5. დაზღვეულის/ მოსარგებლის ვალდებულებები ასევე განისაზღვრება წინამდებარე პირობების დანართი #1-ით

მუხლი 9 ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაზღევვა წყდება წინამდებარე პირობებით და/ან პოლისით განსაზღვრული დაზღვევის მოქმედების ბოლო დღის 24 საათზე;

9.2. წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული დაზღვევის შეწყვეტის საფუძველი შეიძლება გახდეს, ასევე:

ა) მზღვეველის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულება ანუ შესაბამისი პასუხისმგებლობის/ანაზღაურების ლიმიტის სრული ამოწურვა;

ბ) მეორე მხარის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობა;

გ) მხარეთა წინასწარი წერილობითი შეთანხმება.

9.3. დაზღვევის ხელშეკრულებაზე დამზღვევის მიერ ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვამდე უარის გაცხადების შემთხვევაში, მზღვეველისთვის სადაზღვევო პრემიის გადახდის საკითხი შემდეგნაირად რეგულირდება: თუ დამზღვევის მიერ სადაზღვევო ურთიერთობის შეწყვეტის სურვილი განპირობებულია დოკუმენტურად დადასტურებეული პატივსადები მიზეზებით ანუ მოტივირებულია (რისი შეფასებაც ხორციელდება ყოველი ცალკეული შემთხვევის მიხედვით) დამზღვევს უბრუნდება გამოუმუშავებელი პრემიის გადახდილი ნაწილი. ამასთან, ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, საერთო გამომუშავებული სადაზღვევო პრემია დამზღვევის მიერ გადახდას ექვემდებარება ნებისმიერ შემთხვევაში. ხოლო ზემოხსენებული პატივსადები მიზეზების არარსებობისას კი, დამზღვევს წარმოეშობა დარჩენილი სადაზღვევო პერიოდისათვის გათვალისწინებული სადაზღვევო პრემიის ერთიანად დაფარვის მოვალეობა, ხოლო თუ ასეთი პრემია უკვე გადახდილია, იგი არ ექვემდებარება დამზღვევისათვის დაბრუნებას.

9.4. ნებისმიერ მიზეზით ხელშეკრულების/დაზღვევი ვადაზე ადრე შეწყვეტისას, თუ მზღვეველის მიერ შეწყვეტის მომენტისათვის კონკრეტულ დაზღვეულთან მიმართებაში გაცემულია/გასაცემია სადაზღვევო ანაზღაურება, ასეთ დაზღვეულთან მიმართებაში დამზღვევი ვალდებულია გადაუხადოს მზღვეველს ჯამური/წლიური სადაზღვევო პრემია სრულად, მიუხედავად ვადაზე ადრე შეწყვეტისა.

9.5. სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში დაზღვეულის გარდაცვალების შემთხვევაში, დამზღვევი ვალდებულია, მზღვეველის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემამდე სრულად დაფაროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, კონკრეტულ დაზღვეულზე გადასახდელი სადაზღვევო პრემია, წინააღმდეგ შემთხვევაში, მზღვეველი უფლებამოსილია, ანაზღაურების თანხას გამოაკლოს ასეთი სადაზღვევო პრემია.

მუხლი 10. დავა, ზიანის ანაზღაურება

10.1. მხარეთა შორის წამოჭრილი ნებისმიერი დავა წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმებით, შეუთანხმლებლობის შემთხვევაში კი _ საქართველოს შესაბამისი სასამართლოს მეშვეობით საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.2. სადაზღვევო ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული დავების/უთანხმოების შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან მორიგების მიზნით მიმართონ ა(ა)იპ „სადაზღვევო კომპანიათა ასოციაციის“ (ს/კ 204878481) „დაზღვევის მედიაციას“ სატელეფონო ხაზის მეშვეობით ნომერზე: (+995 32) 2555155, ელექტრონული ფოსტის მისამართზე mediacia@insurance.org.ge. „დაზღვევის მედიაციის“ მეშვეობით მორიგების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ სასამართლოს 11.1. პუნქტის შესაბამისად

10.3. თითოეული მხარე ვალდებულია, უპირობოდ და სრულად აუნაზღაუროს მეორე მხარეს თავისი ქმედებით _ ვალდებულებათა შეუსრულებლობით, არასრული/არაჯეროვანი შესრულებით, არაკეთილსინდისიერი ან/და გაჭიანურებული შესრულებით მიყენებული ზიანი (ზარალის, მიუღებელი სარგებლისა და მორალური ზიანის ჩათვლით) _ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 11. ფორს-მაჟორი

11.1. მხარეები თავისუფლდებიან სადაზღვევო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან, თუ ზემოხსენებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების მიზეზი იყო ფორს-მაჟორული გარემოებების (სტიქიური უბედურება, ომი, სამხედრო მანევრები, დივერსია, კანონიერ ძალაში შესული ნორმატიული თუ სხვა სახის აქტები, ასევე, სხვა

მოვლენები, რამაც მხარეთა ნებისგან დამოუკიდებლად დააბრკოლა ან/და შეუძლებელი გახადა მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება) დადგომა.

11.2. სადაზღვევო ხელშეკრულების მოქმედება შეჩერდება ფორს-მაჟორული გარემოების დამთავრებამდე. ამასთან, თუ ასეთი მდგომარეობა გრელდება ერთ თვეზე მეტი ვადი, თითოეული მხარე უფლებამოსილია, მოითხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტა.

11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომა და შეწყვეტა უნდა დაადასტუროს კომპეტენტურმა ორგანომ.

მუხლი 12. დასკვნითი დებულებები

12.1. სადაზღვევო ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შედგენილია წერილობითი ფორმით და ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ, რის შემდეგაც ისინი წარმოადგენენ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

12.2. ხელშეკრულების რომელიმე მუხლის/პუნქტის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას, თუ იგი დაიდებოდა ასეთი ბათილი მუხლის/პუნქტის გარეშეც.

12.3. სადაზღვევო ხელშეკრულების აღსრულებისათვის აუცილებელი ყველა შეტყობინება მხარეებს მიეწოდება წერილობითი ფორმით, ან გადაეგზავნება ფაქსით, ან დაზღვეული ფოსტით მხარეთა ადგილსამყოფელის მიხედვით. თითოეული მხარე ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს ადგილსამყოფელის ცვლილების ფაქტი გონივრულ ვადებში, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეტყობინება ჩაბარებულად ჩაითვლება შესაბამის სადაზღვევო პოლისში მითითებულ მისამართზე მისი გაგზავნისას.

12.4. წინამდებარე პირობების ყველა დანართი, დამზღვევის მიერ შევსებული განაცხადი და ამ სადაზღვევო პირობების საფუძველზე გაცემული სადაზღვევო პოლისი სადაზღვევო ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია და ისინი განიხილებიან ერთიან მთლიანობაში;

12.5. შემთხვევებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე პირობებით, მხარეები იხელმძღვანელებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;

12.6. თქვენ და ჩვენ მიერ ერთმანეთისათვის მიწოდებული ყველა ინფორმაცია (მიუხედავად მისი ზეპირი, თუ წერილობითი ფორმისა), რომელიც წარმოადგენს კომერციულ ან სხვა სახის ფასეულობას, ითვლება კონფიდენციალურად და წინასწარი შეთანხმების გარეშე არ შეიძლება გადაეცეს მესამე პირებს, თუ ეს დაკავშირებული არ არის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულებასთან ან საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან. მიუხედავად ზემოხსენებულისა, შესაბამისი სადაზღვევო პოლისის ხელმოწერით თქვენგან გვენიჭება უპირობო უფლება, თქვენ შესახებ ჩვენს ხელთ არსებული ნებისმიერი ინფორმაცია თქვენთან ყოველგვარი დამატებითი შეთანხმების გარეშე გადავცეთ სს "კრედიტინფო საქართველოს" (რეგისტრირებული მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს მიერ 2005 წ. 14 თებერვალს, რეესტრის #06/5-51, საიდენტ. #204470740), რაც იწვევს თქვენს აღრიცხვას "კრედიტინფო საქართველოს" მონაცემთა ბაზაში.

12.7. სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის შემდეგ, მზღვეველი იტოვებს უფლებას, მოითხოვოს შესაბამისი ხარჯების კომპენსაცია იმ პირთაგან (გარდა დამზღვევისა), რომლებიც პასუხისმგებელნი არიან მომხდარ სადაზღვევო შემთხვევაზე.

მუხლი 1. დაზღვეულის/მოსარგებლის ვალდებულებები სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას; სადაზღვევო ანაზღაურების პირობები

1.1. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას დაზღვეული/მოსარგებლე ვალდებულია:

1.1.1. დაუყოვნებლივ აცნობოს მზღვეველს და დამზღვევს უბედური შემთხვევის დადგომის თაობაზე;

1.1.2. დაუყოვნებლივ მიმართოს ექიმს, დაემორჩილოს ექიმის ინსტრუქციებს და მიიღოს ყველა საჭირო ზომა უბედური შემთხვევის შედეგების მინიმიზირებისათვის;

1.1.3. მიაწოდოს მზღვეველს სრულყოფილი ინფორმაცია და დოკუმენტები სადაზღვევო შემთხვევისა და მისი ყველა გარემოების შესახებ, ხოლოდ მზღვეველის მოთხოვნის შემთხვევაში, შეავოს მზღვეველის მიერ დადგენილი ფორმის განაცხადიც და ამომწურავი პასუხი გასცეს მზღვეველის მიერ დასმულ ყველა შეკითხვას;

1.1.4. წარუდგინოს მზღვეველს შემდეგი დოკუმენტები:

ა) მოსარგებლის წერილობითი განცხადება სადაზღვევო ანაზღაურების მიღების მოთხოვნის შესახებ;

ბ) სამედიცინო დასკვნა და სხვა მსგავსი დოკუმენტები დაზღვეულის ჯანმრთელობისათვის მიყენებული დაზიანების ხასიათისა და სიმძიმის ხარისხის ან მისი გარდაცვალების უტყუარი მიზეზის შესახებ. აგრეთვე, მტკიცებულება დაზღვეულის ალკოჰოლურ, ნარკოტიკულ ან ტოქსიკურ ნივთიერებათა ზეგავლენის ქვეშ შესაძლო ყოფნის შესახებ შემთხვევის დადგომის მომენტისათვის, შესაბამისი შემოწმების აქტის/ცნობის წარმოდგენის გზით;

გ) ნებისმიერი სხვა დოკუმენტი, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობისა და მომხდარი შემთხვევის გარემოებების დადგენისათვის, რასაც განსაზღვრავს მზღვეველი საჭიროების მიხედვით;

დ) დაზღვეულის გარდაცვალების შემთხვევაში:

- შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი მოთოხვნების დაცვით გაცემული დაზღვეულის გარდაცვალების მოწმობა და სამედიცინო ცნობა გარდაცვალების შესახებ (რომელშიც მითითებული უნდა იყოს დაზღვეულის გარდაცვალების კონკრეტული უტყუარი მიზეზი, გარდაცვალების თარიღი, ადგილი და დაზღვეულის ასაკი);
- შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოების მიერ გაცემული ცნობა; ექსპერტიზის დასკვნა გარდაცვალების კონკრეტული და უტყუარი მიზეზის შესახებ; თუ მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე – მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებით გამოძიების ხელთ არსებული დოკუმენტაცია (საქმის მასალები);
- მოსარგებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- მოსარგებლის, როგორც მემკვიდრის სამკვიდრო მოწმობა, რომელიც განსაზღვრავს მის წილს მამკვიდრებლის სამკვიდროში, თუ ასეთ პირი პირდაპირ არ არის დაზღვეულის მიერ წინასწარ წერილობით მოსარგებლედ მითითებული/დასახელებული;
- კონკრეტული შემთხვევის სპეციფიკიდან გამომდინარე მზღვეველი უფლებამოსილია, მოითხვოს შემთხვევასთან დაკავშირებული დამატებითი დოკუმენტაცია და ინფორმაცია.

ე) დაზღვეულის უბედური შემთხვევით გამოწვეული მკვეთრად გამოხატული შრომისუუნარობის, მნიშვნელოვნად გამოხატული შრომისუუნარობის და ზომიერად გამოხატული შრომისუუნარობის შემთხვევაში:

- უბედური შემთხვევის ხდომილების დამადასტურებელი დოკუმენტები, კერძოდ, შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოების ან სხვა უფლებამოსილი კომპეტენტური ორგანოების მიერ შედგენილი დოკუმენტი უბედური შემთხვევის გარემოებებისა და შედეგების ამსახველი დეტალების მითითებით.
- შრომისუუნარობის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი, კერძოდ, იმ სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა, რომელიც შერჩეულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ და რომელსაც მინიჭებული აქვს მოქალაქეთა შესაძლებლობის სტატუსის დადგენის უფლებამოსილება.
- მზღვეველი უფლებამოსილია, მოსთხოვოს დამზღვევს დამატებითი დოკუმენტების წარმოდგენა და/ან ჩაატაროს შესაბამისი დამოუკიდებელი ექსპერტიზა.
- კონკრეტული შემთხვევის სპეციფიკიდან გამომდინარე მზღვეველი უფლებამოსილია, მოითხვოს შემთხვევასთან დაკავშირებული დამატებითი დოკუმენტაცია.

1.1.5. მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა მზღვეველმა დროულად მიიღოს ამ უკანასკნელის მიერ მოთხოვნილი ყველა დოკუმენტი და ინფორმაცია;

1.1.6. ჩაიტაროს გამოკვლევები მზღვეველის მიერ დანიშნულ ექიმთან; ასეთი გამოკვლევის ხარჯებს დაფარავს მზღვეველი;

1.1.7. თუ გარდაცვალება წარმოადგენს ერთ-ერთ დაზღვეულ რისკს და დაზღვეული გარდაიცვლება უშუალოდ უბედური შემთხვევის შედეგად სადაზღვევო შემთხვევის ხდომილებიდან ერთი წლის

განმავლობაში, მაშინ სადაზღვევო ანაზღაურება განისაზღვრება შემდეგი ოდენობით: სრულ სადაზღვევო ანაზღაურებას (ლიმიტს) გამოკლებული მზღვეველის მიერ უკვე ანაზღაურებული თანხა/თანხები.

1.1.8. თუ დაზღვეული გარდაიცვალა უბედური შემთხვევის ხდომილებიდან ერთი წლის განმავლობაში ისეთი შემთხვევის შედეგად, რომელიც წინამდებარე პირობების მიხედვით წარმოადგენს დაზღვეულ შემთხვევას (სადაზღვევო შემთხვევას) და მზღვეველისათვის უკვე ჰქონდა წარმოდგენილი პრეტენზია შრომისუუნარიანობის გამო (და ასეთისათვის ანაზღაურება ჯერ არ მიუღია), ანაზღაურება მოხდება გარდაცვალებისათვის განკუთვნილი ლიმიტის მიხედვით, მიუხედავად მოსალოდნელი შრომისუუნარობის სტატუსისა.

1.1.9. თუ დაზღვეული გარდაიცვალა უბედური შემთხვევის ხდომილებიდან ერთი წლის განმავლობაში ისეთი შემთხვევის შედეგად, რომელიც ამ ხელშეკრულების მიხედვით არ წარმოადგენს დაზღვეულ შემთხვევას (სადაზღვევო შემთხვევას) და პრეტენზია უკვე ჰქონდა მზღვეველისათვის წარმოდგენილი შრომისუუნარიანობის გამო, ანაზღაურების გადახდა მოსარგებლეზე მოხდება შრომისუნარიანობის იმგვარი დაკარგვის სტატუსის შესაბამისად, რომელიც მოსალოდნელი იყო უკვე არსებული სამედიცინო გამოკვლევების მიხედვით, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებული მტკიცებულებებით ასეთის განსაზღვრა შესაძლებელია.

მუხლი 2. სადაზღვევო ანაზღაურებაზე უარის გაცხადება

2.1. მზღვეველი უფლებამოსილია, უარი განაცხადოს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ჰქონდა წინამდებარე პირობებით გათვალისწინებულ რომელიმე საგამონაკლისო გარემოებას და/ან ასევე, რომელიმე შემდეგ შემთხვევას:

2.1.1. მზღვეველისთვის სადაზღვევო შემთხვევისა და ამ შემთხვევის განმაპირობებელი ზიანის შესახებ ინფორმაციის დროულად მიუწოდებლობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დგინდება, რომ მზღვეველმა თავის დროზე გაიგო მომხდარი სადაზღვევო შემთხვევის შესახებ.

2.1.2. დაზღვეულმა განზრახ არ მიიღო ზარალის შესამცირებლად მისთვის ხელმისაწვდომი, გონივრული ზომები, რაც გახდა სადაზღვევო შემთხვევისა და ამ შემთხვევის განმაპირობებელი ზიანის ან მისი ოდენობის განმსაზღვრელი ფაქტორი;

2.2. სადაზღვევო ანაზღაურების გადახდაზე უარი დამზღვევს წარედგინება წერილობითი ფორმით, სადაც მოყვანილი უნდა იყოს ანაზღაურებაზე უარის თქმის დასაბუთებული მიზეზები;

2.3. მზღვეველის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების გადახდაზე უარის განცხადება შეიძლება გასაჩივრდეს მოსარგებლის მიერ სადაზღვევო ხელშეკრულების პირობებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სადაზღვევო პირობების CPA-001 დანართი #2

სარგებელის ცხრილი / სადაზღვევო ანაზღაურება

მუდმივი სრული შრომისუუნარობა:	**სადაზღვევო თანხის %**
მხედველობის სრული დაკარგვა ორივე თვალში	100%
განუკურნებელი ფსიქიკური აშლილობა	100%
ორივე მკლავის ან ხელის დაკარგვა	100%
სმენის სრული დაკარგვა ორივე ყურში უბედური შემთხვევის გამო	100%
ქვედა ყბის დაზიანება	100%
მეტყველების დაკარგვა (აფაზია)	100%
ერთი მკლავის და ერთი ფეხის დაკარგვა	100%
ერთი მკლავის და ერთი ტერფის დაკარგვა	100%
ერთი ხელის და ერთი ტერფის დაკარგვა	100%
ერთი ხელის და ერთი ფეხის დაკარგვა	100%
ორივე ფეხის დაკარგვა	100%
ორივე ტერფის დაკარგვა	100%

მუდმივი ნაწილობრივი შრომისუუნარობა:	**%**
თავი	
თავის ქალას ძვლების დაზიანება (არანაკლებ 6 კვადრატული სმ)	40%
თავის ქალას ძვლების დაზიანება (3-დან ტო 6 კვადრატული სმ-მდე)	20%
თავის ქალას ძვლების დაზიანება (3 კვადრატული სმ-ზე ნაკლები)	10%
ქვედა ყბის ნაწილობრივი დაზიანება, ზედა ყბის დისექცია (სრული ან ნაწილობრივი)	40%
ერთი თვალის დაკარგვა	40%
სმენის სრული დაკარგვა ერთ ყურში	30%

მუდმივი ნაწილობრივი შრომისუუნარობა:	**%**
ზედა კიდურები	
ერთი მკლავის ან ერთი ხელის დაკარგვა (მარცხენა ხელი)	50%
ერთი მკლავის ან ხელის დაკარგვა (მარჯვენა ხელი)	60%
მკლავის ძვლის მნიშვნელოვანი დაზიანება (სრული და განუკურნებელი დაზიანება) (მარცხენა ხელი)	40%
მკლავის ძვლების მნიშვნელოვანი დაზიანება (სრული და განუკურნებელი დაზიანება) (მარჯვენა ხელი)	50%
ზედა კიდურების სრული დამბლა (ნერვის განუკურნებელი დაზიანება) (მარცხენა ხელი)	55%
ზედა კიდურების სრული დამბლა (ნერვის განუკურნებელი დაზიანება) (მარჯვენა ხელი)	65%
მხრის სახსრის უმოძრაობა (მარცხენა ხელი)	30%
მხრის სახსრის უმოძრაობა (მარჯვენა ხელი)	40%
იდაყვის სახსრის ანკილოზი ფუნქციურ მდგომარეობაში (15 გრადუსი მარჯვენა კუთხიდან) (მარცხენა ხელი)	20%
იდაყვის სახსრის ანკილოზი ფუნქციურ მდგომარეობაში (15 გრადუსი მარჯვენა კუთხიდან) (მარჯვენა ხელი)	25%
იდაყვის სახსრის ანკილოზი ფუნქციურად არახელსაყრელ მდგომარეობაში (მარცხენა ხელი)	35%
იდაყვის სახსრის ანკილოზი უფუნქციურად არახელსაყრელ მდგომარეობაში (მარჯვენა ხელი)	40%
წინამხრის ძვლის მნიშვნელოვანი დაზიანება (სრული და განუკურნებელი დაზიანება) (მარცხენა ხელი)	30%

წინამხრის ძვლის მნიშვნელოვანი დაზიანება (სრული და განუკურნებელი დაზიანება) (მარჯვენა ხელი)	40%
შუათანა ნერვის სრული დამბლა (მარცხენა ხელი)	35%
შუათანა ნერვის სრული დამბლა (მარჯვენა ხელი)	45%
რადიალური ნერვის სრული დამბლა იდაყვის სახსრის ამოვარდნისას (მარცხენა ხელი)	35%
რადიალური ნერვის სრული დამბლა იდაყვის სახსრის ამოვარდნისას (მარჯვენა ხელი)	40%
წინამხრის რადიალური ნერვის სრული დამბლა (მარცხენა ხელი)	25%
წინამხრის რადიალური ნერვის სრული დამბლა (მარჯვენა ხელი)	30%
ხელის რადიალური ნერვის სრული დამბლა (მარცხენა ხელი)	15%
ხელის რადიალური ნერვის სრული დამბლა (მარჯვენა ხელი)	20%
იდაყვის ნერვის სრული დამბლა (მარცხენა ხელი)	25%
იდაყვის ნერვის სრული დამბლა (მარჯვენა ხელი)	30%
სხივ-მაჯის ანკილოზი ფუნქციურ მდგომარეობაში (ხელი გასწორებული და ხელისგული თავისკენ) (მარცხენა ხელი)	15%
სხივ-მაჯის ანკილოზი ფუნქციურ მდგომარეობაში (ხელი გასწორებული და ხელისგული თავისკენ) (მარჯვენა ხელი)	20%
სხივ-მაჯის ანკილოზი უფუნქციო მდგომარეობაში (დახრილი ან გასწორებული ხელი ან ხელისგული გარეთ) (მარცხენა ხელი)	20%
სხივ-მაჯის ანკილოზი უფუნქციო მდგომარეობაში (დახრილი ან გასწორებული ხელი ან ხელისგული გარეთ) (მარჯვენა ხელი)	30%
ხელის მტევნის დიდი თითის დაკარგვა (მარცხენა ხელი)	15%
ხელის მტევნის დიდი თითის დაკარგვა (მარცხენა ხელი)	20%
ხელის მტევნის დიდი თითის ნაწილობრივი დაკარგვა (ფრჩხილის ფალანგი) (მარცხენა ხელი) 5%	
ხელის მტევნის დიდი თითის ნაწილობრივი დაკარგვა (ფრჩხილის ფალანგი) (მარჯვენა ხელი 10%	
ხელის მტევნის დიდი თითს სრული ანკილოზი (მარცხენა თითი)	15%
ხელის მტევნის დიდი თითს სრული ანკილოზი (მარჯვენა თითი)	20%
საჩვენებელი თითის ამპუტაცია (მარცხენა ხელი)	10%
საჩვენებელი თითის ამპუტაცია (მარჯვენა ხელი)	15%
საჩვენებელი თითის ორი ფალანგის ამპუტაცია (მარცხენა ხელი)	8%
საჩვენებელი თითის ორი ფალანგის ამპუტაცია (მარჯვენა ხელი)	10%
საჩვენებელი თითის ფრჩხილის ფალანგის ამპუტაცია (მარცხენა ხელი)	3%
საჩვენებელი თითის ფრჩხილის ფალანგის ამპუტაცია (მარჯვენა ხელი)	5%
ხელის მტევნის დიდი და საჩვენებელი თითების ერთდროული ამპუტაცია (მარცხენა ხელი)	25%
ხელის მტევნის დიდი და საჩვენებელი თითების ერთდროული ამპუტაცია (მარჯვენა ხელი)	35%
ხელის მტევნის დიდი და სხვა რომელიმე თითის ამპუტაცია საჩვენებელი თითის გარდა (მარცხენა ხელი)	20%
ხელის მტევნის დიდი და სხვა რომელიმე თითის ამპუტაცია საჩვენებელი თითის გარდა (მარჯვენა ხელი)	25%
ორი თითის ამპუტაცია ხელის მტევანზე (გარდა დიდი და საჩვენებელი თითისა) (მარცხენა ხელი)	8%
ორი თითის ამპუტაცია ხელის მტევანზე (გარდა დიდი და საჩვენებელი თითისა) (მარჯვენა ხელი)	12%
სამი თითის ამპუტაცია ხელზე (გარდა დიდი და საჩვენებელი თითისა) (მარცხენა ხელი)	15%
სამი თითის ამპუტაცია ხელზე (გარდა დიდი და საჩვენებელი თითისა) (მარჯვენა ხელი)	20%
ოთხი თითის ამპუტაცია ხელზე (მათ შორის დიდი თითიც) (მარცხენა ხელი)	35%
ოთხი თითის ამპუტაცია ხელზე (მათ შორის დიდი თითიც) (მარჯვენა ხელი)	40%
ოთხი თითის ამპუტაცია ხელზე (დიდი თითის გარდა) (მარცხენა ხელი)	10%

ოთხი თითის ამპუტაცია ხელზე (დიდი თითის გარდა) (მარჯვენა ხელი)	15%
შუა თითის ამპუტაცია ხელზე (მარცხენა ხელი)	8%
შუა თითის ამპუტაცია ხელზე (მარჯვენა ხელი)	10%
არათითის ან ნეკა თითის ამპუტაცია (მარცხენა ხელი)	3%
არათითის ან ნეკა თითის ამპუტაცია (მარჯვენა ხელი)	7%
საჩვენებელი თითის ანკილოზი (მარცხენა ხელი)	10%
საჩვენებელი თითის ანკილოზი (მარცხენა ხელი)	15%
შუა თითის ანკილოზი (მარცხენა ხელი)	4%
შუა თითის ანკილოზი (მარჯვენა ხელი)	5%
არათითის ან ნეკა თითის ანკილოზი (მარცხენა ხელი)	2%
არათითის ან ნეკა თითის ანკილოზი (მარჯვენა ხელი)	4%

ქვედა კიდურები:	**% ოფ**
ბარძაყის ამპუტაცია (ზედა ნახევარი)	60%
ბარძაყის (ქვედა ნახევარი) და წვივის ამპუტაცია	50%
ტერფის სრული დაზიანება (ტერფ-წვივის ძვლის ეკზარტიკულაცია / ტიბიოტარსალ ეხარტიცულატიონ)	45%
ტერფის ნაწილობრივი დაზიანება (ქუსლის ძვლის ეკზარტიკულაცია)	40%
ტერფის ნაწილობრივი დაზიანება (ტერფის ძვლის შუალედური ნაწილის ეკზარტიკულაცია)	35%
ტერფის ნაწილობრივი დაზიანება (წინატერფის ეკზარტიკულაცია)	30%
ქვედა კიდურების სრული დამბლა (ნერვის განუკურნებელი დაზიანება)	60%
გარე მუხლქვეშა საჯდომი ნერვის სრული დაზიანება	30%
შიდა მუხლქვეშა საჯდომი ნერვის სრული დაზიანება	20%
ორი ნერვის სრული დაზიანება (გარე და შიდა მუხლქვეშა საჯდომი ნერვი)	40%
თეძოს ანკილოზი	20%
მუხლის ანკილოზი	40%
თეძოს სრული დაზიანება ან წვივის ორივე ძვლის დაზიანება (განუკურნებელი მდგომარეობა)	60%
მუხლის ნაწილობრივი დაზიანება და სირთულე გადააგლიებისას ფეხის დაჭიმვის დროს	40%
მუხლის ნაწილობრივი დაზიანება, გადააგილების უნარის შენარჩუნებით	20%
ქვედა კიდურის დამოკლება 5 სმ.-ზე უფრო მეტით	30%
ქვედა კიდურის დამოკლება 3-დან 5 სმ.-მდე	20%
ქვედა კიდურის დამოკლება 1-დან 3 სმ-მდე	10%
ფეხის ყველა თითის ამპუტაცია	25%
ტერფის ოთხი თითის ამპუტაცია (დიდი თითის ჩათვლით)	20%
ტერფის ოთხი თითის ამპუტაცია	10%
ტერფის დიდი თითის ანკილოზი	10%
ტერფის ორი თითის ამპუტაცია	5%
ტერფის ერთი თითის ამპუტაცია (დიდი თითის გარდა)	3%
ტერფის ერთი თითის ანკილოზი (დიდი თითის გარდა)	2%
ტერფის ორი თითის ანკილოზი (დიდი თითის გარდა)	3%
ტერფის ოთხი თითის ანკილოზი (დიდი თითის გარდა)	5%